პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 123 (10517) | სამშაბათი, 29 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით

ნდობას გავამართლებთ

ჰიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მაღაროებში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, მშენებლობებზე გულდასმით გაეცნენ და ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდისადმი — წავიდნენ სამუშაოდ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დონბასის საწარმოებსა და ახალმშენებლობებზე.

ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ჰიათურის სამშენებლო სამმართველოს კომკავშირელმა კალატოზმა ნ. სისვაძემ განაცხადა:

— მხურვალედ ვიწონებ მშობლიური პარტიისა და მთავრობის მოწოდებას. სულით და გულით მსურს სამუშაოდ წავიდე შორეული აღმოსავლეთის ახალ მშენებლობებზე. გთხოვთ დაკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა. იმედი იქონიეთ, რომ არ შეგარცხვენთ.

ასეთივე სურვილი გამოთქვეს ამავე მშენებლობის კალატოზებმა ა. გიგაურმა, გ. ბურნაძემ, მებეტონე ს. ქიმუცაძემ, დურგალმა ზ. ნოზაძემ, ელექტროზეინკალმა მ. ლოპუხინმა, მძღოლმა ა. კოლგანოვმა და სხვ.

სტალინის სახელობის მაღაროს სკრეპერის მემანქანე ჟ. სამხარაძე თავის განცხადებაში წერს: მხურვალედ ვეხმაურები ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოწოდებას. მაღაროში მუშაობით თავი არ შემირცხვენია. მაგრამ ახლა მსურს წავიდე ჩრდილოეთში და უშუალო მონაწილეობა მივიღო იქ გაჩაღებულ დიად მშენებლობაში. პირობას ვიძლევი, რომ გასახელებთ.

პირველ სამ დღეს კომკავშირის ქალაქკომში შემოვიდა 50-მდე განცხადება, რომლებშიც მარგანეცის ქალაქის ჭაბუკები და ქალიშვილები სურვილს აცხადებენ წავიდნენ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის, დონბასის ახალ მშენებლობებზე. განცხადებები კვლავ შემოდის.

იქ, სადაც სამშობლო მოგვიწოდებს

ბორჯომი. (საკ. კორ.). კომკავშირის რაიკომში, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში ყოველდღე შედის პატრიოტთა განცხადებები, რომლებშიც ახალგაზრდები გამოთქვამენ სურვილს წავიდნენ სამუშაოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ახალ მშენებლობებზე.

ბორჯომის მერვე სალიანდაგო დისტანციის ახალგაზრდა ზეინკალი ვ. ტელეშინი თავის განცხადებაში წერს: გადავწყვიტე ჩავდგე იმ მოწინავე მშენებელთა რიგებში, რომლებიც აღმოსავლეთის მხარეში იბრძვიან მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. სიტყვას ვიძლევი, არ შევარცხვენ კომკავშირის სახელს და თავდადებით ვიბრძოლებ ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად. გთხოვთ გამგზავნოთ კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო უბანზე.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონების ახალმშენებლობებზე წასვლის მსურველთა პირველ სიაში ჩაეწერნენ ჭგრეთვე ქვისმთლელი ნ. მაკარევიჩი, კომკავშირელები ვ. რუდენკო, ვ. დემიდოვი.

კომკავშირული საგზურებით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის საწარმო-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი, ყველა კომკავშირელისადმი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი.

— სურვილი მაქვს ჩავდგე მეექვსე ხუთწლედის გიგანტების მშენებელთა რიგებში. გთხოვთ გამგზავნოთ ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ რაიონებში, — წერს კომკავშირის კომიტეტისადმი დაწერილ განცხადებაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე ხარატი ზაალ გამცემლიძე.

აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დონბასის ახალ მშენებლობებზე წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მუშებმა ი. ოსიპენკომ, ვ. შეპელმა, ნ. ბარნოვმა, ტევრის აგურის ქარხნის ახალგაზრდებმა მ. ქაჯაიამ, ბ. ბიწაძემ, ი. მარაქველიძემ, ლ. ბაზალოვმა და სხვებმა.

გამოცდები დაიწყო

წერითი გამოცდა ქართულ ლიტერატურაში თბილისის 67-ე საშუალო სკოლის XI კლასში.

მაღალი ცოდნა გამოამჟღავნეს

მეთერთმეტეკლასელებთან ერთად ლელავდნენ თბილისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კაშია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. ჭინჭარაძე, პედაგოგთა მთელი კოლექტივი.

საათის ისარი ცოცავს. გაისმის მოსწავლეთათვის ნაცნობი და საყვარელი ზარის ხმა. საკლასო ოთახები იცლება. მოსწავლეებს ვარდ-ყვავილების თაიგულები მოუტანიათ მშობლიური სკოლის შესამკობად.

ყველა მოუთმენლად ელის პაკეტის გახსნას, მათ აინტერესებთ, რა თემაზე მოუხდებათ წერა. დაფაზე რიგრიგობით წერენ თემების სათაურებს. მოსწავლეებმა შვებით ამოისუნთქეს, ყველა თემა მათთვის ნაცნობია. უმრავლესობამ დასაწერად ამოირჩია თემა „ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, ზოგნა — „ჩემი საყვარელი წიგნი“, ზოგმა კი — „ბატონყმობა საქართველოში დ. ჭონქაძის შემოქმედების მიხედვით“.

მეცოცხალეებმა გაიარა. საკლასო ოთახებში სრული სიწყნარეა. ყველა თავაუღებლად მუშაობს. მოსწავლე ო. კუბატაძე ასე იწყებს: „...გადავწყვიტე დამეწერა თავისუფალი თემა „ჩემი საყვარელი წიგნი“. ბევრი, ძალიან ბევრი შეიძლება დაიწეროს ამ თემაზე. ყველა წიგნი საყვარელი და გამოსადეგია. საყვარელია იმიტომ, რომ „ყველაფერი, რაც კარგია ჩემში, წიგნმა მომცა“ (მ. გორკი)“.

საინტერესოდ გააშუქეს არჩეული თემები მოსწავლეებმა რ. ვაშაძემ, თ. კაბეთელიძემ, ნ. ხიდაშელმა და სხვ.

ამ დღეს გამოცდებმა წარმატებით ჩაიარა აგრეთვე გეოგრაფიასა და ისტორიაში მერვე და მეათე კლასებში. სსრ კავშირის გეოგრაფიის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა ხუთოსანმა მოსწავლემ ნ. ჯავახიშვილმა. მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ხუთიანი. ხუთიანი მიიღო ისტორიაში მეათეკლასელმა რ. პაღლიაშვილმა.

მოამზადებული შეხვდნენ

გუშინ დილაადრიან შეიკრიბნენ სასწავლებლის შენობაში თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. მეთერთმეტეკლასელები ნოუთმენლად ელოდნენ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის დაწყებას.

...8 საათსა და 30 წუთზე ჭაბუკები და ქალიშვილები კლუბში მიიწვიეს, სადაც მათ მბურვალედ მიესალმა სკოლის დირექტორი ლ. მელაძე და უსურვა გამოცდების წარმატებით დამთავრება.

გამოცდები დაიწყო. დაძაბულ სიჩუმეში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ხსნის პაკეტს და აცხადებს თემებს.

მოსწავლეები აუჩქარებლად შეუდგნენ მუშაობას. მათ ინტერესი გამოიჩინეს სამივე თემისადმი. მეთერთმეტეკლასელებმა ნ. ნათლიაშვილმა, ნ. ნოდებაძემ და ნ. დანიელოვმა გადაწყვიტეს დაეწერათ თავისუფალი თემა — „ჩემი საყვარელი წიგნი“. „ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ აირჩიეს მოსწავლეებმა ჯ. ზენაიშვილმა, ნ. ასლამაზოვმა და ე. დოლიძემ.

მეთერთმეტეკლასელები მომზადებული შეხვდნენ წერითს გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სკოლის ბევრ ჭაბუკსა და ქალიშვილს გადაწყვეტილი აქვს სიმწიფის ატესტატით სამუშაოდ წავიდეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

პასუხსაგები ეტაპი სკოლების ცხოვრებაში

გუშინ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაიწყო კლასიდან კლასში გადასაყვანი, გაოსამშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. „კოლები: ცხოვრებაში გამოცდები საზეიმო დღეა.

მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი სკოლია პედაგოგიურმა კოლექტივმა ინიშნელოვან წარმატებებს მიაღწია სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში. თბილისის, სოხუმის, სტალინირის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მეტი წილი სკოლები კარგად მოემზადნენ საგაზაფხულო გამოცდებისათვის, მაგალ ითაჩვენებლებს მიაღწიეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებისათვის დიდ ზრუნვასთან ერთად ითვალისწინებენ მასწავლებლები და პედაგოგიური კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ განამტკიცონ სკოლების კავშირი საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან, საბჭოთა მეურნეობებთან. ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მთელი რიგი სკოლების უფროსი ლაბორატორიები მოსწავლეები ეცნობიან წარმოებაა თავიანთ საშეფო ორგანიზაციებში, განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას, იძენენ შრომითს ჩვევებს.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში მდიდარი გამოცდილება აქვს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. იგი ჯეროვან ყურადღებას აქცევს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთზე მუშაობას. ნორჩმა მებაღეებმა გამოიყვანეს ვაშლის, მსხლის, ატმის, ლეღვის და თუთის ათასობით საძირე საცდელ ნაკვეთზე გაშენებულია მათ მიერ გამოყვანილი 300 ძირი ნარგავი. ნორჩ მებაღეთა 1954 წლის სრულიად საკავშირო კონკურსში აქტიური მონაწილეობისა და კარგი მაჩვენებლების მოპოვებისათვის სკოლა საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია სატპიო სიგელით. სკოლის ბევრი ნორჩი ნატურალისტი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ გამოცდები წარმოებდეს მშვიდ, საქმიან ვითარებაში; არ უნდა დავუშვათ არაეთიკური ხმაური, ნერვიულობა, აღკვეთოთ ლიბერალიზმი. საჭიროა გამოვავლინოთ მოსწავლეთა ნამდვილი ცოდნა, რომლითაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს პედაგოგიური კოლექტივის მიერ გაწეულმა მუშაობამ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის დარგში.

მალე ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მიიღებს სიმწიფის ატესტატს. ბევრი მათგანი სწავლას განაგრძობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. იმ ჭაბუკთა და ქალიშვილთა დიდი ნაწილი, რომლებიც საშუალო სკოლას დაამთავრებენ. სამუშაოდ წავა სამრეწველო საწარმოებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი. ყველა კომკავშირელისადმი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი. პარტია და მთავრობა მოუწოდებენ მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გაგზავნოს ახალშენებებზე ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შორეული ჩრდილოეთის, ყაზახეთისა და დონბასის რაიონებში. ამ მოწოდებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი იმ ახალგაზრდებმაც, რომლებმაც დაამთავრეს ან ამთავრებენ საშუალო სკოლას. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია ფართოდ განუმარტონ ამ ახალგაზრდებს პარტიისა და მთავრობის მიმართვის უდიდესი მნიშვნელობა იმ ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი, რაკი კონკურსის შედეგად ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში, მთელი წლის განმავლობაში საჭიროდ არ თვლის იმუშაოს და იმედს ამყარებს შემდგომი წლის მიაღწევ გამოცდებზე. ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ზოგიერთი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელმაც საშუალო სკოლა ჯერ კიდევ გასულ წლებში დაამთავრა, არც სწავლობს და არც მუშაობს. მარტო თბილისში 2 ათასზე მეტი ასეთი ახალგაზრდაა.

„უკანასკნელ დროს,—აღნიშნავდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი თავის გამოსვლაში ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე, — ახალგაზრდობის ზოგიერთ ნაწილში თავი იჩინა არასწორმა შეხედულებამ შრომაზე ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში. ეს გამოიხატება, მაგალითად, ასეთი ფაქტებით. ზოგიერთი ჭაბუკი და ქალიშვილი, დაამთავრებს რა ათწლედს, ამბობს: ახლა ჩვენ, განათლებულ ადამიანებს, არ შეგვეფერება წავიდეთ ქარხანაში, სამშენებლო მოედანზე, საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში. და აი ასეთი განათლებული ადამიანები არ დაფიქრებიან იმაზე, რომ ცხოვრობენ სახლში, რომელიც ააშენეს მშენებელმა მუშებმა, რომ მათი მამები მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, რომ ისინი ჭამენ პურს, რომელიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოიყვანეს ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა, დაუღალავმა მშრომელებმა“.

საჭიროა აღმოვფხვრათ ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შეგნებაში შრომისადმი ობივატელური, მეშჩანური დამოკიდებულება, თვითეულ მოსწავლეს გავუღვივოთ სიყვარული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი.

ჩვენს ახალგაზრდობას შესანიშნავი აწმყო და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი აქვს. მის წინაშე გახსნილია თავიაუფალი და ბედნიერი ცხოვრების ფართო გზა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ზრუნვას იჩენენ იმისათვის, რომ აღზარდონ მოზარდი თაობა კომუნიზმის კულტურული, განათლებულ და შრომისმოყვარე მშენებლებად.

სკოლებში სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება. ვუსურვოთ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დაამთავრონ იგი ახალი წარმატებებით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინგლისის საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი ბ-ნი დანკენ სენდისი

1956 წლის 28 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინგლისის საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი ბ-ნი დანკენ სენდისი და საუბარი ჰქონდა მასთან.

დ. სენდისს ახლდა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ უ. ჰეიტერი მიღებას დაესწრო და საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. კუჩერიავკომ. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16-18 წლის მოზარდთათვის ექვსი საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ

16-18 წლის ასაკის მოზარდთა შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს 1956 წლის 1 ივლისიდან 6 საათის სამუშაო დღე 16-18 წლის ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 26 მაისი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

16-18 წლის მოზარდთა შრომის ანაზღაურების წესის შესახებ მათთვის ექვსი საათის სამუშაო დღის დაწესებასთან დაკავშირებით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

დაწესდეს, რომ მოზარდთა შრომის ანაზღაურება შემოკლებული სამუშაო დღისათვის წარმოებს, როგორც შესაბამის კატეგორიათა მუშაკების სრული სამუშაო დღისათვის.

16-18 წლის ასაკის მოზარდთა შრომა, რომელნიც დაშვებული არიან სანარდო სამუშაოზე, ანაზღაურდება ამ სამუშაოს შესრულებისას სანარდო შეფასებათა მიხედვით, რომლებიც ისეთივეა როგორც სანარდო შეფასებანი მოზრდილი მუშებისათვის, რასაც დაემატება ანაზღაურება მათი სატარიფო განაკვეთის მიხედვით იმ დროისათვის, რომლითაც მოზრდილ მუშათა სრული სამუშაო დღე აღემატება მოზარდთა შემოკლებულ სამუშაო დღეს.

1956 წლის 26 მაისი.

გამარჯვებულთა დაბრუნება

„ბევრი უნახავს ნაბადსა, ავი დარი და დარია...“, — ნათქვამია ქართველი მწყემსების სიმღერაში. მართლაც ვინ მოთვლის რამდენი დარი თუ უავდრობა გადაიტანეს წელს ჩვენმა მეცხვარეებმა კასპიისპირეთის გაშლილ ტრამალებში, სადაც ყოველ ზამთარს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეთა ცხვარი იმყოფება.

მაისის პირველ ნახევარში, როცა საქართველოსაკენ პირველი ფარები დაიძრა, ჩრდილოეთ კავკასიაში მშვენიერი ამინდი იდგა, ათიოდე დღის შემდეგ კი მოულოდნელად გამუდმებული წვიმები დაიწყო, რამაც კიდევ უფრო გაართულა ისედაც ძნელი მგზავრობა.

სადაც არის ზაფხული ძალაში შევა, მაგრამ დარიალის ხეობაში და ჯვრის უღელტეხილზე გაზაფხული ახლაც არ იგრძნობა. მთები ჯერ კიდევ თოვლის სქელ საბანშია გახვეული. უცნაური ამინდია: ზოგჯერ მზე პირს იბანს, ზოგჯერ კოკისპირულად წვიმს, ხანდახან თოვს კიდეც.

— ასეთ გაზაფხულს ჯერ არ შევსწრებივართ, — თქვა გუდამაყრის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ შიო ბექაურმა.

ადვილი არ არის მუხლამდე ტალახში სიარული, უფრო ძნელია გზის გაკვლევა დარიალის ვიწრო ხეობაში, სადაც მრისხანედ აუუდებულ კლდეებიდან წვიმის შედეგად ხანდახან უზარმაზარი ქვები ცვივა, ენერგიის დაძაბვა და სულიერი სიმტკიცეა საჭირო თოვლით დაფარული ბილიკის გადასალახავად. მაგრამ მწყემსებს ეს არ აშინებთ. ისინი სახახელოდ ძლევენ ამ რთულ ამოცანას.

რაც მთავარია, ცხვრის გადარეკვა მომდინარეობს ორგანიზებულად, მცირე დანაკარგებით. შესანიშნავი სიმტკიცე და სულიერი მხნეობა გამოიჩინეს დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენინგორის და სხვა რაიონების მწყემსებმა, რომლებმაც ვაჟკაცურად დაძლიეს ყველა დაბრკოლება და ახლა ნელნელა უახლოვდებიან მშობლიურ სოფლებს.

ჯვარის უღელტეხილი უკან მოიტოვეს თიანეთის და ლენინგორის კოლმეურნეობათა ფარებმა, ცხვრის ბღავილი გაისმის გუდამაყრისა და ფშავის ხეობებში, ახალხევის ციცაბო გზებს მიჰყვებიან ახმეტელი მეცხვარეები, ხოლო აქედან ხუთას კილომეტრზე, სტანიცა იშჩორსკაზე მისასვლელებს მხოლოდ ახლა უახლოვდებიან დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის უკანასკნელი ფარები.

ცხვრის გადარეკვა მალე დამთავრდება, მაგრამ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ აღინიშნოს ის დიდი გულისტკივილი, რასაც მწყემსები გადასარეკი ტრასის მოუწყობლობით განიცდიან.

საქმე ის არის, რომ არავითარი ყურადღება არ ექცევა ტრასის გაუმჯობესების საქმეს, ტრასა ადგილ-ადგილ გადახნულია, არის უბნები, სადაც ცხვარს უბალახობის გამო ძოვა არ შეუძლია.

შეიძლება თუ არა ამის გამოსწორება? რა თქმა უნდა, შეიძლება. ყველა რაიონს აქვს შესაძლებლობა ტრასის ცალკეულ უბნებზე დათესოს მრავალწლიანი ბალახები და სიმინდი, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია დააყენოს საკითხი ტრასის გაფართოების შესახებ. ყოველწლიურად საჭირო ხდება ამ ამბის მრავალჯერ გამეორება, კონკრეტული შედეგი კი არ ჩანს.

ვინც მეცხვარეთა ცხოვრებას იცნობს, მისთვის ძნელი არ არის გაიგოს, რაოდენ რთული საქმეა ზამთარ-ზაფხულ, მთასა და ბარში ღია ცის ქვეშ ყოფნა. ქართველი მეცხვარეები ჭეშმარიტად მეცხოველეთა ავანგარდში დგანან, დიდი მონდომებით შრომობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ღირსი არიან, რომ შეუნელებლად ვზრუნავდეთ მათი შრომისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

* * *

მრავალმა ათეულმა ათასმა ცხვარმა გაიარა ამ დღეებში კავკასიონის პირქუში მთები. მოდიან ბუნების სტიქიასთან გამარჯვებული ადამიანები.

სალამი და საუკეთესო სურვილები სახელოვან ქართველ მწყემსებს!

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: დუშეთის რაიონის სოფელ ბომის კოლმეურნეობის ცხვრის ფარა ჯვარის უღელტეხილზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მაღალიდეური პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდეს ინტერესს იჩენენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალებისადმი. კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები პარტიული განათლების ყველა ფორმაში — წრეებში, პოლიტსკოლებში, აგრეთვე წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გზით ღრმად სწავლობენ ამ ისტორიულ დოკუმენტებს. მათ დასახმარებლად ადგილებზე ეწყობა მაღალკვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები. ათასობით აგიტატორი სოციალისტური ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს განუმარტავს ყრილობის მასალებს. რედაქციაში ყოველდღიურად მრავალი წერილი მოდის იმის შესახებ, თუ როგორი ენთუზიაზმით ეცნობიან მშრომელები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორ უკავშირებენ ისინი თეორიული საკითხების შესწავლას მათ წინაშე მდგომი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შემდეგ, — გვწერს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიუროს ლექტორი ვ. ართილაყვა, — სალექციო მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, იგი უფრო ქმედითი გახდა, მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას. მოწინავე კოლმეურნეობის ეკონომიკის შესწავლისა და განზოგადების მიზნით სალექციო ბიურო შეუდგა ადგილებზე გამავლელი სესიების მოწყობას. ასეთი სესია მოეწყო, მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობაში. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა დ. გედევანიშვილმა და ს. ერქომაიშვილმა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის საკითხებზე. საინტერესო სიტყვები წარმოთქვეს ახლომახლო კოლმეურნეობების მუშაკებმა, რომლებიც შეეხნენ კოლმეურნეობის ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხებს, მევენახეობის, მემინდვრეობის, მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებს.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ი. ჩიტაშვილი თელავიდან გვატყობინებს, რომ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებები — კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები მშრომელებში ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან პარტიის XX ყრილობის მასალების გარშემო. მაგალითად, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის სახლის ლექტორები საინტერესო მოხსენებებს კითხულობენ თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა სოფლის მეურნეობის ამოცანების შესახებ“ და სხვ.

საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში, — გვწერს საკუთარი კორესპონდენტი ბ. მილიუტინი, — გეგეჭკორის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების საკოლმეურნეო მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში ახალი ძალით გაჩაღდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. განსაკუთრებით გამოცოცხლდა რაიკომების ლექტორთა ჯგუფების საქმიანობა. ლექციების თემატიკა ისე არის შერჩეული, რომ იგი დიდ დახმარებას უწევს თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებს, აგრეთვე წრეებსა და პოლიტსკოლებში მომუშავე ამხანაგებს.

საგაზაფხულო სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში, — გვწერს დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხუცურაული, — ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვები მიაქვთ მშრომელებამდე ჩვენს მოწინავე აგიტატორებს ქ. ხორავას, ვ. თურმანაულს, თ. ბუჩუკურს. ისინი კოლმეურნეებს აცნობენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და რაზმავენ მათ ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის. ეს ვალდებულებანი კი ითვალისწინებენ წელსვე შესრულონ მეცხოველეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, ადგილობრივი ხვასურული ჯიშის თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.200 ლიტრი რძე.

როგორც საკუთარი კორესპონდენტი გ. ნოდია ზუგდიდიდან გვატყობინებს, რაიონში 1.500-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა აგიტაციას რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საკოლმეურნეო სოფლებში. ისინი გულდასმით განუმარტავენ მშრომელებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამ ყრილობაზე ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს, აგრეთვე ყრილობაზე გამოსული დელეგატების სიტყვებს. მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით ისმენენ საუბრებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ. აგიტატორებმა რამდენიმე საუბარი მოაწყეს თემაზე — საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ინგლისში.

ონის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად რაიონის ცენტრსა და სოფლებში დამატებით შექმნეს 35 წრე და 5 თეორიული სემინარი. წრეებსა და სემინარებში, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობის გზით ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს 1.210 კომუნისტი სწავლობს. ამის შესახებ რედაქციას სწერს საკუთარი კორესპონდენტი ა. ბეშიძე.

ქუთაისის რკინიგზის კვანძის სალოკომოტივო დეპოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის დადებითი მუშაობის გამოცდილებაზე მოუთხრობს რედაქციას ი. ბუხაიძე. წრის ნაყოფიერ მუშაობას, — წერს იგი, — განსაზღვრავს ის, რომ პროპაგანდისტი ვ. ჭანკვეტაძე მონდომებით და საქმის სიყვარულით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. მეცადინეობისათვის წინასწარ ემზადება, ადგენს კონსპექტს, თეორიულ მასალას მოხდენილად უკავშირებს დეპოს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. ამიტომაც არის, რომ წრე ნაყოფიერად მუშაობს. წრის აქტიური მსმენელებია დეპოს მოწინავე ადამიანები — მემანქანე ი. რიჟამაძე, ელექტროსაამქროს ბრიგადირი ი. ფუფცხვანიძე და სხვები.

იმის შესახებ, თუ როგორ გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რედაქციას ატყობინებენ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები წითელწყაროდან — გ. ხეჩუაშვილი, ახალციხიდან — ე. ხარებაკა, ზესტაფონიდან — ლ. ლოლაძე, აგრეთვე გაზეთის მკითხველები ტყიბულიდან — ნ. ჯინჯიხაძე, ჩხოროწყუდან — ი. ნაჭყებია, ცხაკაიიდან — ო. შალამბერიძე, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოდან — გ. ყეინიშვილი.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზებში

ამჟამად, როცა მთავრდება სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში, დიდი გამოცოცხლებაა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზებში.

აქ განუწყვეტლივ მოდიან ექსკურსანტები რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან. უმაღლესი სასწავლებლებიდან, რათა გულდასმით დაათვალიერონ და შეისწავლონ მუზეუმის ფილიალის დარბაზებში გამოფენილი დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

27 მაისს მუზეუმს ექსკურსანტთა დიდი ჯგუფი ესტუმრა რუსთაველიდან. ესენი არიან მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის საწარმოებისა და პარტორგანიზაციებთან არსებული წრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელები, სულ 500 კაცი.

მათ დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა წრეებსა და პოლიტსკოლებში და პირველ შემაჯამებელ მეცადინეობაზე გამოამეცადინეს ამ ისტორიული დოკუმენტების ღრმა ცოდნა. ამჟამად ისინი მოვიდნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, რომ აქ მოაწყონ მეორე შემაჯამებელი მეცადინეობა. ფილიალის დარბაზების დათვალიერებისას მათ მიმხილველთი ხასიათის ლექციები წაუკითხეს მუზეუმის ლექტორებმა მ. ქურცოკიძემ, თ. კვარაცხელიამ, ვ. ლობჟანიძემ, ზ. აკუბჟანოვამ, ა. ბაგდასაროვმა, ნ. ივოტიბისკაიამ და ლ. ბაგეგაძემ. ექსკურსანტებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებთან დაკავშირებულმა სურათებმა და ფოტომონტაჟებმა. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ექსპოზიციები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველ წლებს. დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია განყოფილებამ, რომელშიც წარმოდგენილი მასალები მოგვითხრობენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წლებზე.

ლექციების დამთავრების შემდეგ ექსკურსანტებს უჩვენეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი მასწავლებლისა და დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტალური კინოფილმი.

შუახევის რაიონში

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

შუახევის რაიონი შედარებით ახალი რაიონია. იგი შეიქმნა სულ რამდენიმე წლის წინათ. ამ პერიოდში რაიონის ცენტრში ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა რაიონული უნივერმაღი. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა რაისამხრეწველო კომბინატის ორი ორსართულიანი სახლი, რომლებშიც მოეწყო საწარმოო საამქროები, რაიონული გაზეთის სტამბა და სხვ. აგებულია ახალი ორსართულიანი კაპიტალური სასტუმრო და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. აშენდება ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, ცენტრში მოეწყობა სკვერი, ქუჩებში დაიდგმება ელექტროლამპიონები, დაირგვება ასობით დეკორაციული მცენარე, დამთავრდება წყალსადენი.

ახალი გზები

რაიონში ფართოდ გაიშალა საგზაო მშენებლობა. დამთავრდა ჭვანა-ბარათაულის გზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 8 კილომეტრს აღემატება. მდინარე ჭვანაზე აშენდა ახალი კაპიტალური ხიდი. რაიონის ცენტრს უკავშირდება მთიანი სოფელი ჩანჩახალო. წელს ახალი გზების გაყვანა გათვალისწინებულია აგრეთვე ნიგაზეულსა და სხალთას, ჭვანასა და ბრილს, კობალთასა და შუბანს, ახალდაბასა და ხიკაურს და ნენიასა და რაიონის ცენტრს შორის.

ფერმების მშენებლობა

წელს მეცხოველეობის ფერმების ახალი შენობები აიგება სოფელ გოგაძეების ენგელსის, შუახევის ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. კაპიტალური მარანი აშენდება შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ოცამდე კოლმეურნეობაში წელს აიგება კაპიტალური სასილოსე კოშკები.

ფართოვდება სკოლების ქსელი

რევოლუციამდე შუახევში არც ერთი სკოლა არ იყო. ამჟამად საკოლმეურნეო სოფლები მოფენილია საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების ფართო ქსელით. სხალთის საბჭოს სოფლებში წიაღსა და ნაკანაფევში აგებულია დაწყებითი სკოლები. შუბანში დაწყებულია საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელიც ახალი სასწავლო წლისათვის უნდა დამთავრდეს. სოფელ ნიგაზეულში აშენდა რვაწლიანი სკოლის ახალი შენობა. ჭვანის, ბარათაულის, დაბაძველის, მაწყვალთის სკოლები გაფართოვდა რამდენიმე საკლასო ოთახით. ახალი სასკოლო შენობები იგება აგრეთვე დარჩიძეებში, მახალაკიძეებში, ცივაძეებსა და სხვა სოფლებში.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ავეჯის ახალი ფაბრიკა

ცხაკაია. (საკ. კორ.). იზრდება რაიონის სამრეწველო კომბინატის საწარმოთა რიცხვი. დაწყებულია ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს.

უკვე აგებულია მთავარი კორპუსი. სხვა დამხმარე ნაგებობებთან ერთად აშენდება ფაბრიკის მუშათა 8-ბინიანი სახლი. ფაბრიკის მშენებლობაზე ენერგიულად შრომობენ მუშები ჯ. ფულარია, კ. კოღუა, დ. ულიანოვი, გ. დავითაია.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესია

1956 წლის 18-25 მაისს ბერლინში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მორიგი სესია.

საბჭოს ამ სესიაზე განიხილეს მომავალ ხუთ წელიწადში (1956-1960 წლებში) ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების, სახელდობრ: მანქანათმშენებელი და ოპტიკისა და ხელსაწყოების მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების კოორდინაციის საკითხები.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიამ მიიღო დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმებული რეკომენდაციები ძირითად სახეობათა მანქანების, მოწყობილობის, ნედლეულის, სათბობისა და სუსტსათის წარმოების დონისა და ურთიერთმიწოდების შესახებ.

მანქანათმშენებელი და ოპტიკისა და ხელსაწყოების მრეწველობის განვითარების პერსპექტივების განხილვისას შემუშავებულ იქნა ქვეყნებს შორის წარმოების სპეციალიზაციის გაფართოებისა და შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

განხილულ იქნა შავი მეტალურგიის ნედლეულის ბაზის — რკინის მადნისა და კოქსადი ქვანახშირის ამოღებისა და კოქსის წარმოების განვითარების, აგრეთვე ფერადი მეტალურგიის ნედლეულის ბაზის განვითარების საკითხები. დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიურმა თანამშრომლობამ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უზრუნველყოფაში ქვანახშირით, რომელსაც პოლონეთი აწვდის, და რკინის მადნით, რომელიც [illegible] ცვლაში აწვდის.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების განხილვისას ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების და, კერძოდ, მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების საკითხებს. საჭიროდ იქნა ცნობილი უზრუნველყონ სიმინდის თესვის ფართოდ დანერგვა. შემუშავებულია აგრეთვე რეკომენდაციები, რომელთა მიზანია მინერალური სასუქების მრეწველობის სერიოზული გაფართოება და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების შემდგომი განვითარება.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხებს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიამ განიხილა და მიიღო სამუშაოთა პროგრამა იმ წინადადებების მოსამზადებლად, რომლებიც შეეხება საბჭოს მონაწილე ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის გაცვლის გაფართოებას და დუნაის ჰიდრო რესურსების კომპლექსური გამოყენების სქემის შემუშავებას.

განხილული და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ უკეთ მოეწყოს მუშაობა ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში, რისთვისაც უნდა გაფართოვდეს კავშირი უშუალოდ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს შორის.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი როგორც მეთვალყურენი.

დამთავრდა მეცნიერულ-ტექნიკური თათბირი სტანდარტიზაციის დარგში გამოცდილების გაზიარების საკითხებზე

26 მაისს მოსკოვში დამთავრდა მეცნიერულ-ტექნიკური თათბირი სტანდარტიზაციის დარგში გამოცდილების გაზიარების საკითხებზე, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. მოისმინეს თათბირის მონაწილე ყველა ქვეყნის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოთა ხელმძღვანელების მოხსენებანი სტანდარტიზაციის დარგში მუშაობის მდგომარეობის შესახებ და განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ საქმეში თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებასთან, აგრეთვე სპეციალისტთა მოხსენებანი ურთიერთშეცვლის საკითხებზე.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება სტანდარტიზაციის დარგში როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური საკითხების ნაწილში გამოცდილების გაზიარების გაფართოებისა და სტანდარტიზაციის დარგში საერთაშორისო ორგანიზაციაში უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ, რათა ხელი შეეწყოს ამ ორგანიზაციების ამოცანების შესრულებას.

საბჭოთა ფუჩისფები ნორვეგიაში ჩავიდნენ

ოსლო, 26 მაისი. (საკდესი). გუშინ ოსლოში ჩამოვიდა 25 საბჭოთა ტურისტი. ნორვეგიაში ისინი ათ დღეს დარჩებიან და ნახავენ ბერგენს, ტრონჰეიმს და ლილეჰამერს. ნორვეგიის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ესენი არიან პირველი საბჭოთა ტურისტები, რომლებიც ნორვეგიაში ჩამოვიდნენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

თამბაქოს მაღალი მოსავლისათვის

საქართველოს რაიონების ნიადაგი და კლიმატური პირობები თამბაქოს მაღალხარისხოვანი ნედლეულის მოყვანის საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის რაიონებს მოჰყავთ სამსუნის ტიპის თამბაქო, რომელიც ნაბი სურნელებით და სასიამოვნო გემოთი გამოირჩევა. ეს თამბაქო უბადლო საკუთაკე ნედლეულია უმაღლესი ხარისხის პაპიროსის დასამზადებლად. მრეწველობაში არაჩაკლეს ცნობილია ტრაპეზონის ტიპის თამბაქოც, რომელიც მოჰყავთ აჭარის ასსრ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (ლაგოდეხის, მარნეულის და ბოლნისის რაიონები).

მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ გამოყენებით საქართველოს მეთამბაქოობის ბევრმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თამბაქოს მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1954 წელს სახელმწიფოს საშუალოდ ჰექტარზე ჩაბარდა თითქმის 11 ცენტნერი თამბაქო, მაშინ როდესაც 1940 წელს ჰექტარზე ჩაბარებულ იქნა მხოლოდ 5,7 ცენტნერი. ამასთან ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც თამბაქოს მაღალი მოსავალი მოჰყავს და სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით ანბარებს ნედლეულს, ვიდრე საშუალო მაჩვენებელია რესპუბლიკაში.

მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ ჩაბარა 16 ცენტნერი სამსუნის ჯიშის თამბაქო, ხობის რაიონის სოფელ ბესლეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 14,1 ცენტნერი, გულრიფშის რაიონის სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 14,8 ცენტნერი. ლაგოდეხის რაიონის ჭაკვავის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე ჩაბარა 22 ცენტნერი ტრაპეზონის ჯიშის თამბაქო, მარნეულის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 21,2 ცენტნერი და ა. შ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კოლმეურნეობა როდი იყენებს მის განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს, თამბაქოს მაღალი მოსავლის მისაღებად. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებს წლითიწლობით ვერ ასრულებს გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა. 1954 წელს ზეთამბაქოობის 39 კოლმეურნეობიდან თამბაქოს ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულა 31 კოლმეურნეობამ, ხოლო 1955 წელს 48 კოლმეურნეობიდან — 42 კოლმეურნეობამ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გეგმას ვერ ასრულებს აგრეთვე სოხუმის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა. გალის რაიონში კეკეტელეულ სახელობის კოლმეურნეობამ 1955 წლის მოსავლიდან სახელმწიფოს ჩაბარა მხოლოდ 391 კილოგრამი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.050 კილოგრამისა, ხოლო კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ ჩაბარა 113 კილოგრამი ნაცვლად 3.030 კილოგრამისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. ამავე რაიონში სასიგარე თამბაქოს ჩაბარების გეგმა შესრულდა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ხარჯზე. ამ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 359 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმით უნდა ჩაბარებინა 172 ცენტნერი; ამავე დროს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“, რომელსაც გეგმა ჰქონდა 53,2 ცენტნერი, ამ ძვირფასი თამბაქოს ნედლეულის არცერთი კილოგრამი არ ჩაუბარებია.

რესპუბლიკაში მარნეულის რაიონის კოლმეურნეობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვთ თამბაქოს მაღალი მოსავლის მისაღებად. მაგრამ აგროტექნიკის მოთხოვნათა უხეშად დარღვევის გამო, განსაკუთრებით თამბაქოს მოსავლის აღებისა და შრობის პერიოდში, 1955 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს დაიკლეს 600 ტონაზე მეტი ნედლეული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კოლმეურნეობათა უმრავლესობამ უკანასკნელ წლებში თამბაქოს მოსავლიანობის სერიოზულ ზრდას მიაღწია, თვით მოსავლიანობის მხრივ მოწინავე კოლმეურნეობათა მაჩვენებლებიც ნედლეულის სასაქონლო ასორტიმენტის ნაწილში მეტად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 1954 წლის მოსავლიდან უმაღლესი ხარისხის (I, II და III ხარისხი) თამბაქო ჩაბარეს 738,3 ტონა ნაცვლად 1365,6 ტონისა, ხოლო 1955 წლის მოსავლიდან ჩაბარეს 690,1 ტონა ნაცვლად 1.573 ტონისა, მაშინ როდესაც საქართველოს თამბაქოს ხარისხობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მრეწველობა დაინტერესებულია უმთავრესად მიიღოს მაღალი ხარისხის ნედლეული რაც შეიძლება მეტი რაოდენობით.

ძირითად ნაკლოვანებად, რაც ყოველწლიურად მეორდება და უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს თამბაქოს მოსავლიანობაზე და მის ხარისხზე, უნდა ჩაითვალოს თამბაქოს დაგვიანებით რგვა. სანერგე მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, რასაც ვხედავთ განსაკუთრებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის რაიონებში, როგორც წესი, იწვევს მნიშვნელოვან ფართობზე თამბაქოს რგვის ივნისის მეორე ნახევარში და ივლისშიც კი. ასე დაგვიანებით დარგული მცენარე ხშირად ამინდის უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ვითარდება. ეს გარემოება თითქმის შეუძლებელს ხდის ფოთლების ნორმალურად მოპოვებას და მათში იმ ელემენტების დაგროვებას, რომლებიც განაპირობებენ ნედლეულის ხარისხს.

ეს დიდი ნაკლი მეთამბაქოობის კოლმეურნეობების მუშაობაში ახლაც არ არის აღმოფხვრილი. წელსაც სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თამბაქოს რგვა. მიმდინარე წლის 20 მაისის მდგომარეობის მიხედვით, რესპუბლიკაში თამბაქო დარგულია 3.716 ჰექტარი, ანუ გეგმა შესრულებულია 24,9 პროცენტით, მაშინ როდესაც აგრონესებით დადგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით ამ რიცხვისათვის დარგული უნდა ყოფილიყო 11.000 ჰექტარი.

თამბაქოს რგვაში სერიოზულად ჩამორჩენიან აფხაზეთის ასს რესპუბლიკის რაიონები, რომლებსაც გეგმა შესრულებული აქვთ 11,3 პროცენტით, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში გეგმა შესრულებულია 28,9 პროცენტით, მაშინ როდესაც კალენდარული გეგმით შესრულებული უნდა იყოს 70 პროცენტით.

მართალია, ამინდი ხელს არ უწყობდა თამბაქოს რგვას, მაგრამ ასეთი ჩამორჩენა ძირითადად მაინც კოლმეურნეობათა ცუდი მუშაობით უნდა აიხსნას. მეთამბაქოობის ბევრმა კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო სათბურებში თამბაქოს ნათესების სათანადოდ მოვლა, რამაც დიდად დააგვიანა ჩითილის მიღება დასარგავად. ამის დამადასტურებელ მაგალითს გვაძლევს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც სათბურებში თამბაქოს ნათესების კარგი მოვლით მიაღწია იმას, რომ მიმდინარე წლის 23 აპრილისათვის თამბაქო დარგული ჰქონდა 22 ჰექტარზე ანუ გეგმა შესრულებული ჰქონდა 22 პროცენტით, მაშინ როდესაც 25 აპრილისათვის რაიონში თამბაქოს რგვის გეგმა შესრულებული იყო 4,4 პროცენტით, მთლიანად რესპუბლიკაში კი — მხოლოდ 1,3 პროცენტით.

ლაგოდეხის და განსაკუთრებით მარნეულის რაიონებში წინა წლებში ადგილი ჰქონდა მოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს თამბაქოს დროზე აუღებლობის გამო, რაც იწვევს ფოთლის გადამწიფებას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში თამბაქოს გადწვას და ძირზევე გახმობას.

ამ რაიონებში თამბაქოს დროულად აუღებლობა იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან საშრობი ნაგებობებით, ხოლო კოლმეურნეობებში არსებული ძველი საშრობი შენობები სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

აფხაზეთისა და აჭარის მეთამბაქოობის კოლმეურნეობათა საშრობი შენობებით უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე წელს დროულად უნდა შესრულდეს ახალი საშრობების მშენებლობისა და არსებული საშრობების შეკეთების გეგმა.

საშრობთა უმრავლესობას კედლები არა აქვს. ზოგიერთში წვიმა ჩამოდის, თამბაქო დაცული არ არის ამინდის გავლენისაგან, რის გამო უარესდება მისი ხარისხი, თამბაქო კარგავს ფერს და ზოგჯერ კიდეც ობდება.

საშრობი მეურნეობის მდგომარეობა ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია და ვერ უზრუნველყოფს ახალი მოსავლის გაშრობასა და გადამუშავებას. გარდა იმისა, რომ საშრობ შენობებში წვიმა ჩამოდის, მათ, საკმაო რაოდენობით არა აქვთ საშრობი ჩარჩოები. თვითეულ თვალ ფარდულზე საშუალოდ 15-20 ჩარჩო მოდის, მაშინ როცა ნორმაა 25-30 ჩარჩო.

ძველი საშრობი შენობები რომ დაეკომპლექტოთ ჩარჩოების (ვაგონების) საჭირო რაოდენობით და დასახული მოცულობით ახალი ფარდულების მშენებლობის გეგმა რომ შევასრულოთ, მოსავლის აღების სეზონისათვის ნორმალური შრობით ლაგოდეხის რაიონში უზრუნველყოფილ იქნება მოსავლის არა უმეტეს 80 პროცენტისა. ხოლო მარნეულის რაიონში — არა უმეტეს 70 პროცენტისა.

მაშასადამე, საშრობი შენობებით ლაგოდეხის რაიონში უზრუნველყოფილი არ იქნება 1956 წლის მოსავლის 800 ტონაზე მეტი ნედლეული, ხოლო მარნეულის რაიონში — 1.000 ტონაზე მეტი.

კოლმეურნეობებში სამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობა საფრთხეში აყენებს მიმდინარე წლის მოსავლის თამბაქოს აღებისათვის საშრობ შენობათა მშენებლობის გეგმის შესრულებას. მიმდინარე წლის 15 მაისისათვის ლაგოდეხის რაიონში დაწყებული იყო 118 თვალი ფარდულის მშენებლობა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 320 თვალისა, ხოლო მარნეულის რაიონში — 109 თვალის მშენებლობა ნაცვლად 300 თვალისა.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ თვითვე არ იქნა მიღებული ყველა ღონისძიება სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა გაძლიერებისათვის, მიმდინარე წელს თამბაქოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჩასაბარებელი თამბაქოს შემადგენლობაში შეევ. არაკონდიციური ნედლეულის სახით და, ცხადია, არასრული რაოდენობით.

საშრობი შენობებით არც ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობები არიან უზრუნველყოფილი. ომის ერთ-ერთ სერიოზულ ფიზეზს, რომ კოლმეურნეობები ვერ ასრულებენ თამბაქოს ჩაბარების გეგმებს ასორტიმენტის მიხედვით, წარმოადგენს აგრეთვე მოსავლის აღებაა შემდეგ თამბაქოს პირველადი დამუშავების მოქმედი სტანდარტის მოთხოვნათა დარღვევაც. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ იმ თამბაქოს მასაში, რომელსაც კოლმეურნეობები აბარებენ IV და V სასაქონლო ხარისხის სახით, შერეულო იყო უფრო მაღალი ხარისხის ფოთოლი, რომლის რაოდენობა ცალკეულ შემთხვევებში 15-20 პროცენტს აღწევდა.

მეთამბაქოობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ეკონომიურად სუსტად იყვნენ დაინტერესებულნი ამ ძვირფასი კულტურის განვითარებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, აღნიშნა რა მეთამბაქოობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მიიღო დადგენილება, რომლის მიზანია მეთ

აკოფ აკოფიანი

დაბადების 90 წლისთავისათვის

სომხური საბჭოთა ლიტერატურა დიდი მიღწევებით მდიდარ სომხეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალ დეკადაზე, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში გაიმართება. სსრ კავშირის მოძძე ხალხთა ლიტერატურის საერთო ოჯახში სომხურმა ლიტერატურამ განვლო სახელოვანი ბრძოლის გზა სოციალისტური რეალიზმის დასამკვიდრებლად. ამ ბრძოლაში საპატიო ადგილი უჭირავს სომხეთის რევოლუციური პოეზიის ფუძემდებელს აკოფ აკოფიანს.

აკოფ აკოფიანის შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე. იგი იყო ერთ-ერთი მოწინავე მწერალი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მქადაგებელი.

რუსულმა, ქართულმა, სომხურმა ლეგალურმა და არალეგალურმა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელიც 1901-1908 წლებში გამოდიოდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა პოეტ აკოფიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი ორიგინალურ და თარგმნილ რევოლუციურ ლექსებს ბეჭდავდა გაზეთებში — „ბრძოლაში“, „პროლეტარიატის ბრძოლაში“, „კიაწში“ (ნაპერწკალი) და „ნორ-ხოსქში“ (ახალი სიტყვა). აკოფიანი იყო ამ გაზეთების თანამშრომელი და გამავრცელებელი. ბოლშევიკური პრესა აღფრთოვანებდა მას შემოქმედებითს მუშაობაში.

1905 წელს აკოფ აკოფიანმა გამოაქვეყნა ლექსი „კიდევ ერთი დარტყმა“. ამ ლექსში პოეტი მუშათა კლასს მოუწოდებდა საბარიკადო ბრძოლებისაკენ. მიუხედავად ერთგვარი პროზაულობისა „კიდევ ერთი დარტყმა“ თავისი უშუალობით ხიბლავს მკითხველს.

რეაქციის დღეებში აკოფიანი არ დაიბნა, პირიქით, იდეურად მომწიფდა, მიაღწია ახალ მწვერვალებს თავის შემოქმედებაში. ბოლშევიკურ გაზეთ „კიაწში“ (1906 წელი) ზედიზედ იბეჭდება მისი ლექსები „ჩემი სამყარო“, „რევოლუცია“, „ინტერნაციონალი“. ამ ლექსებში პოეტი აღიარებს მშრომელთა სიძულვილს კლასობრივი მტრებისადმი და გვიჩვენებს ხალხთა განთავისუფლების ნათელ გზას.

ა. აკოფიანი ბევრჯერ ყოფილა საქართველოს სოფლებში. იგი მშვენივრად აგვიწერს რაჭას, მის მომაჯადოებელ მთებს და თოვლით დაფარულ მწვერვალებს, შორეული ტყეების სიმშვენიერეს, სალ კლდეებს. თავის მოგონებებში პოეტი აღტაცებით გვიხატავს იმერეთის სოფლებს, მამაც, ჯმუხ, შეუდრეკელ ადამიანებს, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

აკოფიანი იყო ბრძოლის პოეტი, მას ახარებდა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მამაცური ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ. „სიკვდილი იმას, ვისაც ჩვენთვის სიკვდილი უნდა“ — ასეთი იყო ა. აკოფიანის საბრძოლო დევიზი.



აკოფ აკოფიანი ახალგაზრდობის დროს გატაცებით სწავლობდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ბელინსკის, გერცენის შრომებს. მისთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იყო მაქსიმ გორკის იდეები.

1910 წელს აკოფ აკოფიანმა დაწერა პოემა „ახალი დილა“. ეს არის დიდი ტილო, რომელშიც განზოგადებულია პოეტის საზოგადოებრივ-ფილოსოფიური შეხედულებები. პოემაში დახატულია საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო საკითხები, ხელოვნება განხილულია როგორც რევოლუციური ბრძოლის იარაღი.

შემდგომ წლებში (1912-1915 წ. წ.) სომხურ ბოლშევიკურ გაზეთებში „ნორ-ხოსქში“, „პაიქარში“ ქვეყნდება მისი ლექსები „ქარტეხილი“, „თანასწორობა“, პოემა „წითელი ტალღები“ და სხვ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციას და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ა. აკოფიანი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მან უფრო შთაგონებული და მგზნებარე პათოსით უმღერა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სოციალისტურ მშენებლობას, მოწინავე ადამიანებს, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლებს. პოეტი თანაბარი სიყვარულითა და აღტაცებით უმღერის ლენინგრადს, მის ლეგენდარულ ბრძოლებს რევოლუციის დღეებში, „ვოლხოვსტროის“, ზაჰესს-რიონჰესს, თბილისს, შირაქის არხს, მოძმე ხალხთა თავისუფალ ცხოვრებას.

აკოფ აკოფიანის პოეტური სტილი თავისებური და ორიგინალურია. სომხურ პოეზიაში პირველმა აღწერა რა მუშების ცხოვრება და შრომა, ქალაქი, რევოლუციური ქარტეხილები, დემონსტრაციები, პროტესტი, გამარჯვების პიმნები, აკოფიანმა შეძლო ახალი ფორმა მიეცა ახალი შინაარსისათვის. მის პოეზიაში მთავარ როლს აზრი ასრულებს, მაგრამ იგი არ არის ღრმა ემოციას მოკლებული. ფართოდ იყენებს რა ხალხურ ფოლკლორს, აკოფიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს, აგვიწერს მათ მკაფიო საღებავებით და თავისებური კოლორიტით.

თვლის რა თავის თავს პროლეტარული პოეზიის წინამორბედად, აკოფიანი ზოგიერთ საკუთარ პოეტურ ნაკლს ხსნის ამ ახალი პოეზიის შექმნის სიძნელეებით. იგი ამტკიცებს, რომ პოეტობდა რა ახალ სამყაროს სომხურ ლიტერატურაში, ერთბაშად შეუძლებელი იყო ახალი ფორმის მოძებნა. აკოფიანმა, რასაკვირველია, ბევრი სიძნელე გადალახა თავის შემოქმედებითს გზაზე, მაგრამ ყველა სიძნელის გადალახვა ვერ შეძლო.

1923 წელს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს დღეებში საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ სპეციალური გადაწყვეტილებით აკოფ აკოფიანს საქართველოს სახალხო პოეტის წოდება მიანიჭეს. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ანალოგიური გადაწყვეტილება.

სახალხო პოეტი აკოფ აკოფიანი 71 წლის ასაკში გარდაიცვალა 1937 წელს თავის მეორე სამშობლოში — საქართველოში — თბილისში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აღვივებდა მის შემოქმედებას და სადაც იგი თავისი ამხანაგების — ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების მხარდამხარ იბრძოდა კაპიტალიზმის უღლისაგან ყველა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

სახალხო პოეტი, სომხური საბჭოთა პოეზიის ნამდვილი კორიფე ა. აკოფიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე რევოლუციისა და ხალხის საქმეს შესწირა, თავის ლექსებსა და პოემებში ადიდებდა ხალხთა თავისუფლებას, კომუნიზმის დიად მშენებლობას, შეუპოვრად ილაშქრებდა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, უმღეროდა მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ვ. ატრიანი.

ფ. ერკვანი.

რუსთავის თეატრალური კოლექტივი თბილისში

ამას წინათ თბილისს საგასტროლო სპექტაკლით რუსთავიდან ეწვია მეტალურგთა კულტურის სასახლის რუსული თეატრალური კოლექტივი, რომელმაც გრიბოიედოვის სახელობის თეატრში მაყურებლებს უჩვენა ც. სოლოდარის კომედია „იასამნის ბაღში“.

მეტალურგთა სპექტაკლმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა.

მაყურებლის მოწონება დაიმსახურა სცენისმოყვარეების ლ. მაიზლისის, ლ. ლუნევას, ნ. ტარანენკოს, თ. ქებაძის, ვ. შუშუნოვას, ა. ევსენკოვის, ე. ნიკიშინის, ი. ოასტროვსკის, ვ. ხვადკოვის, ვ. როდანის, ბ. ვულფის, ბ. ხარჩენკოს საინტერესო შესრულებამ. ასევე კარგი შეფასება ხვდა სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის ბ. ხარჩენკოს და მხატვრული გაფორმების ავტორის ა. გიორგაძის ნამუშევრებს.

აკოფ აკოფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

დღეს საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიმართება სომხური საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის აკოფ აკოფიანის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის ი. გრიშაშვილი.

მოხსენებას — „აკოფ აკოფიანის ცხოვრება და შემოქმედება“ — წაიკითხავს ს. ავჩიანი.

სიტყვებს წარმოთქვამენ და ლექსებს წაიკითხავენ მწერლები. დასასრულ გაიმართება კონცერტი.

ახალი სპექტაკლი

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მორიგ ახალ დადგმად 23 მაისს მაყურებელს უჩვენა კომედია-მიმიზილა „შემთხვევითი შეხვედრები“. პიესის ავტორები არიან ვ. ბახნოვი და ი. კოსტიუკოვსკი.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. თაყაიშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ე. დონცოვას, მუსიკა — ნ. ბოგოსლოვსკის.

როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი და უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ფ. სლავინი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ე. სმირანინი და ა. ზაგორსკი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. სპერანსკაია, ი. ლიუბარსკი, ლ. ვრუბლევსკაია, ბ. ვიაზემსკი, მსახიობები პ. ლუსპეკაევი, ი. კირილოვა, ე. პოგოდინი, ე. კერეფენეიში და სხვ.

დიდი სპორტული ზეიმი

თბილისს ათასობით სტუმარი ეწვია. კიდევ უფრო ხალისიანი და მჩქეფარე გახდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრება. ეს ოერძნობოდა ქუჩებში, ტრანსპორტზე, სასპორტო ბაზებზე.

ლოზუნგები, პლაკატები, აფიშები გვამცნობდა დიდ სპორტულ ზეიმს, გრანდიოზულ ასპარეზობას — საქართველოს სსრ სპარტაკიადას.

ეს ეს დღეც — კვირა, 27 მაისი.

დილადანვე საზეიმო განწყობილება სუფევდა. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ლამაზად იყო გაფორმებული ძღვეოსსტური ამანათრბენის ეტაპები. აქვე შეხვდებოდით სპორტული ფორმით გამოწყობილ მორბენლებს — ჭაბუკებსა და გოგონებს. ველომრბოლები გაეშურებოდნენ სპარტაკიადისადმი მიძღვნილი გარსკვლავისებური ამანათრბენის დამთავრებას, ცხენოსნები და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები — ასპარეზობისათვის მზადყოფნას.

* * *

თბილისის „დინამოს“ სტადიონი — ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური სასპორტო ბაზა. ამაყად ფრიალებენ ნაირფერი სპორტული ალმები. საფეხბურთო მოედანი, სარბენი ბილიკები მომზადებულია ბარადისათვის. აქვე გაუმართავთ რინგი, ჭიდაობისათვის მოეშზადებიათ ხალიჩები, სრულ წესრიგზეა ტანვარჯიშის იარაღები.

აღმოსავლეთი ტრიბუნის მეორე იარუსს ზოლად გასდევს წარწერები ტილოებზე — „სალამი საქართველოს სსრ სპარტაკიადის მონაწილეებს!“ 12 საათია. ყიღურს საზეიმო მარშის მელოდია. სტადიონის სამხრეთ ტრიბუნის მთავარ შემოსასვლელთან გამართულა პირველი კოლონა. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან სპარტაკიადის მონაწილეებს—სწავლაში, შრომასა და სპორტში სახელმოგენილ ფიზკულტურელებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან სპორტსმენებს მოაქვთ საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და დროშა. ეს საპატიო მოვალეობა წილად ხვდათ ა. ქართველიშვილს, მ. ჯუღელს, გ. შარაბიძეს და სხვ. მათ მიჰყვება კოლონა სპორტული ალმებით, რომლის რიგებში 300-მდე სპორტსმენია.

მოდიან საქართველოს სპორტის ვეტერანები, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, რომელთა რიგებში არიან გ. ეგნატაშვილი, გ. ჩიკვაიძე, ვ. გოგლიძე და სხვ. მათ წინა კოლონისაგან ჰყოფს ნრავალ საერთაშორისო შეხვედრებში სახელმოგენილ სპორტსმენთა საჰუული ო. ქორეიას, რ. ჩიმიშკიანისა და გ. დარბაისელის შემადგენლობით.

მწყობრი ნაბიჯით მოემართებიან მსაჯები. ამ დიდ კოლონას მოჰყვებიან აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურისა და სხვა სპორტული დელეგაციები. ბოლოს ოდის თბილისის სპორტსმენთა ლამაზად გაფორმებული კოლონა.

დაუსრულებელ ნაკადად მოედინებიან თბილისს მოსწავლე სპორტსმენები. მათი საერთო რიცხვი 2.000-ს აღემატება.

სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუბკაევმ. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებს სპარტაკიადის გახსნა მიულოცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ნოადგილემ ი. ნიკიფოროვმა.

სამხრეთ ტრიბუნის შემოსასვლელიდან გამოჩნდა სპორტსმენთა ახალი ჯგუფი. ესენი იყვნენ მძლეოსნები და ველომრბოლები, რომლებმაც საქართველოს სპარტაკიადისადმი მიძღვნილ ამანათრბენში გაიმარჯვეს და თბილისში ჩამოიტანეს ვარსკვლავისებრი ამანათრბენის პატაკი. სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული მათ მხურვალე ტაშით შეხვდა.

ვარსკვლავისებრ ამანათრბენში მონაწილეთა პატაკი საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობისა და წარმატებათა შესახებ წაიკითხა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ჯუღელმა.

პარადის კომანდორის გ. ლეჟავას ძახილზე სპორტულ დელეგაციათა საუკეთესო წარმომადგენლები ო. ქორეია, რ. ჩიმიშკიანი, და სხვები მიემართებიან ალმის აღსამართავად. ძლიერად ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, ყველანი ფეხზე დგებიან.

საზეიმო ცერემონიალის ძირითადი ნაწილი დამთავრდა. მოსწავლეებმა სპორტსმენებს თაიგულები უძღვნეს. კოლონები ტოვებენ მოედანს. სტადიონის ტრიბუნებიდან დიდხანს არ ცხრება ერთსულოვანი ტაში სპორტსმენთა პატივსაცემად.

საფეხბურთო მოედანზეა 2.000-ზე მეტი ჭაბუკი და გოგონა. ორკესტრი ასრულებს სხვადასხვა მელოდიას. იწყება მასობრივი თავისუფალი ვარჯიში. ეს იყო ულამაზესი სანახაობა. თავისუფალი ვარჯიშის თემაა „სპორტული დღესასწაული“. საერთო მოწონება დაიმსახურა ვარჯიშის ამ ნაწილმა, სადაც მეტად ორიგინალურად იყო ასახული ბურის ყანა, მისი რხევა ნიავზე, ნაირფერ ყვავილთა ბაღი, ნორჩ სპორტსმენთა ორთაბრძოლა ქართულ ჭიდაობაში, მასობრივი ცეკვა. ამ ვარჯიშის ფინალი ასეთია — მრავალრიცხოვან სპორტსმენთა შუაში აღიმართა საქართველოს სსრ საზელმწიფო დროშა და ამ დროშის გარშემო დარაზმული ჭაბუკები და გოგონები ახალგაზრდობის ჰიმნის სიმღერით ტოვებენ მოედანს.

შორიდან მოისმის მოტორების გუგუნი. სარბენ ბილიკზე ვხედავთ მიმზიდველად გაფორმებულ მოტოციკლებს, რომლებზეც ლამაზი პირამიდებით ოსტატობას უჩვენებენ მოწინავე აკრობატები.

იწყება საჩვენებელი გამოსვლები. დასავლეთ ტრიბუნის წინ ხალიჩაზე ვხედავთ ტანმოვარჯიშე ქალებსა და ვაჟებს. ისინი რიტმულად, შესანიშნავი გემოვნებით, მაღალი ოსტატობით ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს. მოწონებას იმსახურებენ თ. ბეთანელი, გ. შარაბიძე, ვ. კულუმბეგაშვილი, რ. კაკაბაძე და სხვ. დიდი ინტერესი გამოიწვია ორძელზე, ღერძზე და ნაირსიმაღლის ორძელზე საჩვენებელმა ვარჯიშმა. აქ მაყურებლები ხედავდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენთა ოსტატობას. მათ რიგებში იყვნენ რ. შარაბიძე, ა. ჯაიანი, ვ. ბურსკი, ვ. ასათიანი, რ. კაკაბაძე და სხვ.

სურათზე: ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი „დინამოს“ სტადიონზე.

* * *

სტარტიორის დამბაჩის ხმამ ჰაერი შეარხია. ადგილიდან მოწყდა სპორტსმენთა პირველი ჯგუფი. დისტანციაზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მალე ერთ-ერთმა სპორტსმენმა გულზე იკრა ფინიშის ზოლი, წამზომებმა აღნიშნეს პირველი დრო. ესენი იყვნენ სპრინტერი ქალები. პირველ გარბენს მოჰყვა მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ბრძოლაში ჩაებნენ ვაჟები, დაიწყო შეჯიბრება შუბის ტყორცნაში, გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში და მძლეოსნური სპორტის სხვა სახეობებში.

გთამაშდა 100 მეტრზე რბენის ფინალი. აქ გამარჯვებული აღმოჩნდა თბილისის გუნდის წარმომადგენელი ტ. პენინჩანაა (12,4 წამი). მეორე ადგილზე გასოვიდა ა. ოვიანი (აფხაზეთი), მესამეზე ნ. კონფოლოსკაია (თბილისი). ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა რ. ტრაპაძე (თბილისი). დრო — 11 წამი. მეორე ადგილზეა ა. ივაშჩენკო (აფხაზეთი), მესამეზე — რ. ჯარაშვილი (აჭარა). დოქტორი აცხადებს შუბის ტყორცნის შედეგებს. აქ გაიმარჯვა გ. ბრიტკინამ (თბილისი) შედეგით 43 მეტრი და 70 სანტიმეტრი. მომდევნო ადგილზე გამოსულმა ვ. ციტინიოვამ (თბილისი) შუბი ტყორცნა 40 მეტრსა და 45 სანტიმეტრზე და გოგონთა შორის საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში მონაწილეთა შორის შეჯიბრების დასკვნითს ეტაპს შერჩა მხოლოდ 1 მძლეოსანი — ნ. მაღლაფერიძე. მომდევნო ორ ადგილზე გამოსულმა სპორტსმენებმა აჩვენეს სიმაღლე 175 სანტიმეტრი. ნ. მაღლაფერიძემ ჯერ 180, ხოლო შემდეგ 185 სანტიმეტრის სიმაღლე დაძლია და ჩემპიონი გახდა.

მოედანზე ატმოსფერო [illegible] ლებს. მსაჯებ[illegible]

თბილისის „დინამოსა“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის დუბლიორთა გუნდების მატჩის დაწყებას დაემთხვა 30 კილომეტრზე რბენის სტარტი. მალე ამ შეჯიბრების მონაწილეებმა სტადიონი დატოვეს. ყოველი ხუთი კილომეტრის გარბენის შემდეგ სპორტის მოყვარულები შეჯიბრების მაცდელების კურსში იყვნენ. ეს ძნელი ასპარეზობა დამთავრდა იმ თანმიმდევრობით, როგორითაც დაიწყო. სარბენ ბილიკზე გამოჩნდა ფინიშის მოიერიშე პირველი მძლეოსანი. ეს იყო თბილისელი ი. უმაკოვი. დრო — 1 საათი, 51 წუთი და 58,4 წამი. გამარჯვებულს არც ოე ისე დიდი მანძილითა ჩამორჩა ვ. აკრბა (აფხაზეთი), ფესამე ადგილზე გამოვიდა ფოთის გუნდის წარმომადგენელი ბ. რუხაია.

ამავე დღეს „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობდა შეჯიბრება სხვადასხვა მანძილზე რბენაში, ბადროს ტყორცნაში. გამოვლინდნენ ჩემპიონები. ცალკეა შორის 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ვ. სპიკინმა (ქუთაისი, 1 წუთი და 56,6 წამი), ქალთა შორის — რ. მისაშვილმა (რუსთავი, 2 წუთი და 21,1 წამი), ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში — გ. ჩადუნელმა (თბილისი, 46 მეტრი და 15 სანტიმეტრი). ამანათრბენში 4×100 მეტრზე გამარჯვება მოიპოვეს თბილისის გუნდებმა შედეგით: ქალები — 50 წამი, ვაჟები — 43,4 წამი.

პირველი დღის შედეგებით პირველ ჯგუფში წინ არის თბილისის მძლეოსანთა კოლექტივი — 8.652 ქულა, მეორე ჯგუფში — საბჭოთა ოსეთი, მესამე ჯგუფში — ზუგდიდის რაიონი.

უნდა აღინიშნოს, რომ მძლეოსანთა ნაჩვენებლები მთელ რიგ სახეობებში ჯერ კიდევ დაბალია.

სტადიონის სხვადასხვა ტრიბუნების წინ დაიწყო შეხვედრები ქართულ, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, რინგზე გამოდიოდნენ სხვადასხვა წონის მოკრივეთა წყვილები. შეჯიბრების ცხრილში შეტანილია პირველი შედეგები.

ზეიმი „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა დიდი კონცერტით.

მაგრამ სპარტაკიადის პირველი დღის პროგრამა ამით როდი ამოწურულა. თბილისის სასპორტო ბაზებზე გრძელდებოდა მძაფრი ასპარეზობა. კოროვის სახელობის ბარგში ერთმანეთის პირველობას ეცილებოდნენ ფრენბურთელები და კალათბურთელები. მატჩების შედეგები ასეთია: ფრენბურთი ქალთა გუნდებს შორის — აფხაზეთი-ქუთაისი 3:0, თბილისი-აჭარა 3:0. ვაჟთა გუნდებს შორის — აჭარა-ქუთაისი 3:0, თბილისი-აფხაზეთი 3:0. კალათბურთელთა გუნდებს შორის პირველი გამარჯვება მოიპოვეს თბილისის, სამხრეთ ოსეთის, ჭიათურის, წყალტუბოს გუნდებმა.

ფეხბურთელთა მატჩები მოეწყო 26 კომისრის რაიონის სტადიონზე. თბილისის ნაკრებმა გუნდმა დამარცხა აფხაზეთის ფეხბურთელთა კოლექტივი 2:1, ჭიათურის გუნდმა — გორის გუნდი 2:0, აჭარის ფეხბურთელებმა — ქუთაისის გუნდი 1:0. „დინამოს“ და თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კორტებზე მიმდინარეობდა შეჯიბრება ჩოგბურთში. თბილისის გუნდმა მოუგო აჭარელ სპორტსმენებს 15:0. ამ დღეს გაიმართა აგრეთვე ქუთაისის გუნდმა.

„დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურავ აუზში გაიმართა შეჯიბრება წყალტრომში და ცურვაში. თბილისელებმა დამარცხეს აჭარელი წყალბურთელები 19:2, აფხაზეთის სპორტსმენებმა — ქუთაისის გუნდი 8:1. ცურავთა ასპარეზობის პირველი დღის შედეგების მიხედვით წინ არის თბილისის გუნდი (9.814 ქულა). მომდევნო ადგილზეა აჭარა.

საღამოს სახელმწიფო ცირკში გაიმართა მოკრივეთა მორიგი მატჩები. პირველ შეხვედრებში წონითი კატეგორიების მიხედვით გამიმარჯვეს გ. დარბაისელმა, თ. მიქაელიანმა, კ. ზუბიაშვილმა, კ. ბაბახანიდამ და სხვ.

ძალოსანთა ასპარეზობა საქართველოს ახალი რეკორდით აღინიშნა. ე. აჯუბაცევმა (თბილისი) ორი ხელით აწია 92,5 კილოგრამი. მრიტე და ქვემუზუტ წონაში გაიმარჯვეს თბილისელმა შტანგისტებმა ნ. ფრიგორიანმა და ი. წოწოლაშვილმა. სამჭიდში მათ აჩვენეს 292,5 და 310 კილოგრამი.

დელისში მიმდინარეობდა შეჯიბრება ცხენოსნობასა და თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ დღეს გაიმართა აგრეთვე შეხვედრები წყალში ხტომაში, ტყვიისა და სასტენდო სროლაში, ფარიკაობაში, ნიჩბოსნობაში.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. საქართველოს სსრ სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. ბაბელია.



სურათზე: საქართველოს სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი და ალმის აღმართვა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამოფენის მონაწილენი საქართველოდან ფართო ჩვენებით

სულ მალე ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში კვლავ ფართოდ გაიღება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კარები. საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონში წარმოდგენილი ექსპონატები და ექსპონენტები ნათლად მოგვითხრობენ ჩვენი მემინდვრეების, მეფეტალეების, მეჩაიეების, მეციტრუსეების, მეაბრეშუმეების, მუცხოველეების და სხვა მუშაკთა გამოცდილებაზე. წელს გამოფენის მონაწილე გახდა ფართო ჩვენებით ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა. ბრიგადა, რგოლი. მოწინავე ადამიანი.

მათ შორის არიან: ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც 163,64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.462 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ხახელი გაითქვა ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანით; ამავე რაიონის ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც 20.000 სულ ცხვარზე მეტი ჰყავს; სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეკამეჩობის ფერმა, რომელმაც 159 ფურკამეჩიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღო 1.304 კილოგრამი რძე.

ლაგოდეხის რაიონიდან ფართო ჩვენებით მიდის გამოფენაზე კალინინის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ 62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 28,3 ცენტნერი თამბაქო. სოფელ აფენის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში 146 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 22 ცენტნერი თამბაქო.

ოჩამჩირის რაიონის სომხური ათარის კოლმეურნეობა. რომელმაც 160 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,05 ცენტნერი თამბაქო; გულრიფშის რაიონის დრანდის კოლმეურნეობა, რომელმაც 126 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16.06 ცენტნერი თამბაქო; მარნეულის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც 175 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18.06 ცენტნერი თამბაქო.

გამოფენის მონაწილე გახდა ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც გასულ წელს 38,43 ჰექტარი ურწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 96,76 ცენტნერი ყურძენი. გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობამ გამოფენაში ფართო ჩვენებით მონაწილეობის უფლება მოიპოვა 180,33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, 69,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანით.

ფართო ჩვენებით გამოფენის მონაწილე გახდა გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, სადაც 147 საფურაუე ძროხაზე საშუალოდ თვითეულზე მიღებულია 2.812 კილოგრამი რძე. ჩაის მოსავლიანობის გადიდებით გამოფენის მონაწილეა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა, სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით — მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც 173 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 49,2 ცენტნერი სიმინდი.

გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მახარაძის რაიონის მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ახურეთის კოლმეურნეობამ, ლაითურის, ინგირის, ჩაქვის, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა, ციხისძირის, ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებმა, ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობამ, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკამ და კიდევ მრავალმა სხვამ.

გამოფენის მონაწილე მრავალ ათეულ მოწინავე ადამიანთა შორის არიან: ქობულეთის რაიონიდან სოციალისტური შრომის გმირები — მეჩაიეები გ. ანდრეადი, გ. პავლიდი, პ. კასიტერიდი, გული ჯინჭარაძე, გარეუბნის რაიონიდან მწველავები ნელი ქაჯაია, სოფიო თათეოსიანი, ზ. ფედოროვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ნადია ბერძენიშვილი (მახარაძის რაიონი), ნინო ბარბაძე (წულუკიძის რაიონი), ლილა კომახიძე (ლანჩხუთის რაიონი), მარგალიტა კიკვაძე (წყალტუბოს რაიონი), სტალინური პრემიის ლაურეატი მეაბრეშუმე ოსანა აივაზაშვილი, მეაბრეშუმეები ნუშო დურგლიშვილი, ვართო კვიცაშვილი (ახმეტის რაიონი), დუშა ზაქარაია (ოჩამჩირის რაიონი) და მრავალი სხვა.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა ატომგულის ფიზიკის და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში კვლევის განვითარების საქმეში

ამა წლის 3-დან 26 მაისამდე ბელგრადში წარმოებდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დელეგაციების მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ატომგულის ფიზიკის და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში კვლევის განვითარების საქმეში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმების განხორციელებასთან. ეს შეთანხმება დაიდო ბელგრადში 1956 წლის 28 იანვარს.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და მხარეთა სრული ურთიერთგაგებით მიმდინარეობდა, მიღწეულ იქნა შეთანხმება განხილულ საკითხებზე და მათ შორის იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ატომის ექსპერიმენტული რეაქტორის მშენებლობის საკითხებზე. ამ რეაქტორის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1958 წლის დამდეგს.

მხარეთა შეთანხმება განხილულ საკითხებზე გაფორმებულ იქნა წერილების გაცვლით, რაც მოხდა ბელგრადში ატომგულის ენერგიის საკავშირო კომისიაში ამა წლის 26 მაისს.

პრეზიდენტ ჯიჯოს გამოსვლა

ბელგრადი. 26 მაისი. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის პრეზიდენტ ოსიპ ბროზ ტიტოს დაბადების დღის გამო მოეწყო ესტაფეტები პრეზიდენტისადმი მისალმებებით ექვსივე რესპუბლიკის ხალხებისა და იუგოსლავიის სახალხო არმიის პირადი შემადგენლობისაგან. პრეზიდენტისათვის ესტაფეტების გადაცემის შემდეგ იუგოსლავიის სახალხო არმიის სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული. მოკლე სიტყვა წარმოთქვა რა სტადიონზე, პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ განაცხადა:

თუმცა ეს დღე აღინიშნება, როგორც ჩემი დაბადების დღე, მე ვფიქრობ, რომ მას უნდა მიეცეს სხვა სახელწოდება: ჩვენი ახალგაზრდობის დღე, სპორტის დღე, ახალგაზრდა თაობის დღე.

კოჩა პოპოვიჩის განცხადება საბჭოთა კავშირში ჯიჯოს მომავალი გამგზავრების შესახებ

ბელგრადი, 27 მაისი. (საკდესი). ბელგრადის გაზეთმა „ნინმა“ გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კოჩა პოპოვიჩის განცხადება, რომელიც მან გააკეთა პასუხად კითხვისა, თუ როგორ აფასებს იგი იუგოსლავიის პრეზიდენტის ოსიპ ბროზ ტიტოს მომავალ გამგზავრებას საბჭოთა კავშირში.

კოჩა პოპოვიჩმა განაცხადა: ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარშან საბჭოთა ხელმძღვანელების მოგზაურობას იუგოსლავიაში ჩვენს ორ ქვეყანას შორის ეს საკითხების წარმატებით გადაჭრისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისათვის. ტიტო — ბულგანინის დეკლარაციამ ჩვენი ურთიერთობა დააყენა მტკიცე საფუძველზე, გამოაცხადა დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობის, თანამშრომლობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დეკლარაციით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერ მეგობრულ თანამშრომლობას, უკეთეს ურთიერთგაგებასა და ამ პრინციპების საერთაშორისო მასშტაბით განმტკიცებას. რომელებსაც ჩვენი ურთიერთობა ემყარება.

პრეზიდენტ ტიტოს მომავალი გამგზავრება საბჭოთა კავშირში დროის მიხედვით ემთხვევა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან და ინტენსიურ საერთაშორისო მოვლენებს. ამას მოწმობს სულ უფრო გახშირებული კონტაქტები ევროპისა და აზიის პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, აგრეთვე მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ აქტიური თანაარსებობის პრინციპის აღიარება საგარეო პოლიტიკის საფუძვლად.

გასაგებია, რომ ამ პირობებში მოლაპარაკება, რომელიც პრეზიდენტ ტიტოს კარდელთან და სხვა თავის თანამშრომლებთან ერთად ექნება მოსკოვში საბჭოთა ხელმძღვანელებთან, წვლილი იქნება იმ ღონისძიებებში, რომლებსაც იღებენ, რათა გამოინახოს მტკიცე მშვიდობის, საერთაშორისო ნდობის უზრუნველყოფის და ახალ შესაძლებლობათა გამოვლინების ახალი გზები მთელ მსოფლიოში სოციალიზმის წარმატებით განვითარებისათვის.

გაზეთი „პოლიტიკა“ პრეზიდენტ ჯიჯოს საბჭოთა კავშირში მომავალი გამგზავრების შესახებ

ბელგრადი, 27 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „პოლიტიკამ“ დღეს გამოაქვეყნა მოწონაკე სტატია, მიძღვნილი იუგოსლავიის პრეზიდენტის ოსიპ ბროზ ტიტოს საბჭოთა კავშირში მომავალი გამგზავრებისადმი.

სტატიაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტ ტიტოს მომავალი გამგზავრება ოფიციალური კიბიტით საბჭოთა კავშირში დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განეთიარების საქმეში. ამ ვიზიტის მნიშვნელობა ორი ქვეყნით—იუგოსლავიითა და საბჭოთა კავშირით რიდი განსაზღვრება. იგი წვლილია იმ ღონისძიებებში, რომლებიც ევროპასა და ნთელ მსოფლიოში ხორციელდება მშვიდობის განსამტკიცებლად და მეტი ურთიერთგაგებისა და ნდობის დასამყარებლად.

საბელმწიფოთა და ხალხთა უფრო ინტენსიური დაახლოების ეს ღონისძიებანი, წერს გაზეთი, დამახასიათებელია თანამედროვე პოლიტიკური საქმიანობისათვის ევროპასა და აზიაში. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელი მოგზაურობა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის გი მოლეს და საგარეო საქმეთა მინისტრის კ. პინოს ყოფნა მოსკოვში, სკანდინავიის ქვეყნების პრემიერ-მინისტრებსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის ნოსკოვის მოლაპარაკება და სხვა ვიზიტები ცხადყოფენ, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა ახლა საერთაშორისო კონტაქტებისა და მოლაპარაკების ასეთი ფორმები.

საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელ ფაზაში დიდი თანამდებობის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეთა მოლაპარაკება, მიუხედავად იმისა, დიდი თუ პატარა ქვეყნების წარმომადგენელნი არიან ისინი, აძლიერებს მისწრაფებას შემდგომი დაახლოების, საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პირობების შექმნისადმი და აფართოებს ამის შესაძლებლობას. ამავე დროს იქმნება პირობები მოუწესრიგებელ საერთაშორისო საკითხთა გადაჭრისთვისაც.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის, აღნიშნავს გაზეთი, პრეზიდენტ ტიტოს მოგზაურობა, რომელიც ემთხვევა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ბულგანინისა და ხრუშჩოვის იუგოსლავიაში ყოფნის წლისთავს, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ბელგრადის დეკლარაციის ხელის მოწერის შემდეგ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპები, განუწყვეტლივ უმჯობესდება. მომავალი კონტაქტები და მოსკოვში მოლაპარაკება ამ ურთიერთობის ლოგიკური განგრძობაა და მათ მოჰყვება შემდგომი გაღრმავება ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის ინტერესების, აგრეთვე საერთო საერთაშორისო დაძაბულობის ინტერესების შესაბამისად.

ანრიგად, ხელმძღვანელობს რა აქტიური თანაარსებობის და კონსტრუქციული საერთაშორისო თანამშრომლობის მიმხრეობის თვალსი დამოუკიდებელი პოლიტიკით, იუგოსლავიას ახალი წვლილი შეაქვს იმ ღონისძიებებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მშვიდობის განსამტკიცებლად და ხალხთა შორის უფრო სრული ურთიერთგაგებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის დასამყარებლად. ამასთანავე პრეზიდენტ ტიტოს ვიზიტი საბჭოთა კავშირში იმ ღონისძიებათა განგრძობაა, რომლებიც ხორციელდებოდა დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, საბერძნეთში, ინდოეთში, ბირმაში, ეთიოპიაში, ეგვიპტეში, საფრანგეთში მისი მოგზაურობის დროს მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად და მშვიდობის განსამტკიცებლად.

ახლა სავსებით ნათელია, წერს გაზეთი, რომ ეს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში შექმნის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს. რადგან საქმე ეხება სოციალიზმის მშენებელ ორ ქვეყანას. ეჭვი არ არის, რომ დაახლოებისა და თანამშრომლობის განვითარების ამ პროცესის მსვლელობაში პრეზიდენტ ტიტოს ვიზიტი ხელს შეუწყობს როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ისე საერთო ღონისძიებებს დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის დასამყარებლად.

იუგოსლავიის ხალხები მიესალმებიან პრეზიდენტ ტიტოს მომავალ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, რადგან იგი მიაჩნიათ ახალ ნაბიჯად საერთაშორისო დაძაბულობის გზაზე, ნაბიჯად, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო მშვიდობის განმტკიცებას და ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ იკისრა აღმოსავლეთ პაკისტანის პროვინციის მთავრობის ყველა ფუნქციის შესრულება

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო კარაჩიდან გადმოგვცემს, გუშინ პაკისტანის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც „კონსტიტუციის 193 კარს“ (პრეზიდენტი ამ სტატიას იყენებს, თუ პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა. — რედ. შენიშვნა) ავრცელებს აღმოსავლეთ პაკისტანის პროვინციაზე და ამრიგად მან იკისრა აღმოსავლეთ პაკისტანის მთავრობის მთელი უფლებამოსილება.

პრეზიდენტმა ამ მოქმედებას მიმართა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ პაკისტანის საკანონმდებლო კრების თავმჯდომარემ უარი თქვა ნება მიეცა განეხილათ ბიუჯეტი, რომელიც აღმოსავლეთ პაკისტანის მთავრობის მთავარმა მინისტრმა სარკარმა შეიტანა.

კრების დათხოვნის შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია ბიუჯეტი დამტკიცოს თავის უფლებამოსილებათა საფუძველზე. კონსტიტუციაში გათვალისწინებულია, რომ 193 კარი შეიძლება შემოღებულ იქნას მხოლოდ ორი თვით. კრება კვლავ შეიკრიბება ივლისში და შეიქმნება პროვინციის ახალი მთავრობა.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის ყველაზე გადაუდებელი ამოცანა იქნება აღმოსავლეთ პაკისტანში წარმოშობილ საგანგებო სასურსათო სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლა.

საერთაშორისო არქეოლოგიური კონფერენცია სოფოკლოში

სოფოკლი, 26 მაისი. (საკდესი). აქ დამთავრდა საერთაშორისო არქეოლოგიური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების საჰაერო ძალებმა. ტრადიციულმა პარადმა, რომელსაც შვეიცარიის ავიაციის კლუბები აწყობენ, წელს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რამდენადაც პარადში პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირმა.

25 მაისს ციურიხის აეროდრომზე დაეშვა საბჭოთა რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104“. მანძილი მოსკოვიდან ციურიხამდე მან გაიარა 3 საათსა და 08 წუთში, ესე იგი თითქმის სამჯერ უფრო ჩქარა ჩვეულებრივ სამგზავრო თვითმფრინავებზე, რომლებიც მოსკოვ-პრაღა-ციურიხის ხაზზე დადიან.

გუშინ, საავიაციო გამოფენების გახსნისა და იმ თვითმფრინავთა დათვალიერების დღეს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პარადში, ახალი საბჭოთა მანქანის ახლოს მთელ დღეს ბევრი ხალხი იყო: უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც პარადზე ჩამოვიდნენ, ტურისტები და რიგითი მაყურებლები. ისინი გამოთქვამდნენ აღტაცებას თვითმფრინავის სიმძლავრის, სილამაზისა და მშვენიერი მოპირკეთების გამო. „ტუ-104“ დაათვალიერეს შვეიცარიის ხელისუფალთა და გენერალური შტაბის წარმომადგენლებმა, აგრეთვე პარადის ბევრმა მონაწილემ.

დღეს დღესასწაული დაიწყო უახლესი კონსტრუქციის პლანერებისა და სასპორტო თვითმფრინავების ფრენით. შემდეგ ჰაერში ავიდნენ საფრანგეთის ავიაციის თვითმფრინავები — ჩქაროსნული რეაქტიული ავიაგამანადგურებლები „მისტერ-IV-ა“ „ვოტურის“ ტიპის რეაქტიული ბომბდამშენები. ინგლისის ავიაცია წარმოდგენილი იყო „ჰანტერის“ ტიპის ავიაგამანადგურებლებით, შორი მოქმედების მძიმე ბომბდამშენებით და სხვა თვითმფრინავებით.

ფრენის მშვენიერი ოსტატობა ცხადყო ჩეხოსლოვაკიის სამმა პილოტმა ჩეხოსლოვაკიის მანქანებით.

შემდეგ აეროდრომის ველზე დაეშვა ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავი „გლობმასტერი“. ამერიკის საჰაერო ძალებმა აჩვენეს აგრეთვე მთელი რიგი სამხედრო თვითმფრინავები: ბომბდამშენები, „სეიბრის“ ტიპის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები და სხვები.

აეროდრომზე აღტაცების შეძახილები გაისმა, როცა ჰაერში გამოჩნდა „ტუ-104“. ამ მიმენტში აეროდრომზე ვაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები, ყველა მაყურებელი ფეხზე ადგა და მიესალმა საბჭოთა თვითმფრინავის გამოჩენას.

დასასრულ საავიაციო პარადის მონაწილეებმა აჩვენეს უმაღლესი პილოტაჟის ოსტატობა სხვადასხვა კონსტრუქციის თვითმფრინავებით. შესრულდა აგრეთვე გადმოხტომა პარაშუტებით.

საავიაციო პარადს დაესწრო საბჭოთა დელეგაცია ავიაციის მარშალ ს. ი. რუდენკოს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ა. კობზარევი, „ტუ-104“-ის ერთ-ერთი კონსტრუქტორი დ. ს. მარკოვი, სსრ კავშირის აეროფლოტის წარმომადგენლები, საბჭოთა ინჟინრები. პარადს დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი შვეიცარიაში პ. ი. ერშოვი.

ქრისტიან პინოს ინტერვიუ საფრანგეთის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტისადმი

პარიზი, 26 მაისი. (საკდესი). პარიზის რადიოს ცნობით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტიან პინომ, რომელიც გუშინ დაბრუნდა პარიზში, საფრანგეთის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტ ვერტერთან საუბარში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი საერთო შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ: „მე იმედნი შთაბეჭდილება მივიღე, რომ არ შემეძლო ისინი რამდენიმე წუთში გამოვთქვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, შემიძლია ვთქვა, რომ ორი-სამი დასკვნა გავაკეთე მოგზაურობიდან, რომელიც, ჩემი შეხედულებით, ძლიერ მნიშვნელოვანი მეჩვენება, რადგან ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება, რომელიც მეტად ნაყოფიერად მიმაჩნია. ჩვენ ვერ შევთანხმდით ყველა პრობლემაზე, რაც შეუძლებელია პირველი შეხვედრისას, მაგრამ გულითადობის ატმოსფეროს, რომელიც მოლაპარაკების დროს არსებობდა, უმთავრესად კი სრულ გულახდილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემთვის მეტად საინტერესო იყო საბჭოთა კავშირში მოგზაურობა, და უნდა ვთქვა, რომ იქ საუცხოოდ მიგვიღეს. ეს მიღება მოგვიწყეს არა მარტო ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არამედ აგრეთვე მოსახლეობამ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მიესალმებოდა საფრანგეთის და განსაკუთრებით ჭეშმარიტად საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას, რამაც მეტად მასიამოვნა“. პინომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში მეტად დიდ ღონისძიებებს იღებენ, რათა მიაღწიონ თავიანთი ცხოვრების დონის ამაღლებას.

მსოფლიოს თასის გათამაშება

სტამბოლი, 26 მაისი. (საკდესი). გუშინ სტამბოლში მითპათ-ფაშის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თასის გათამაშებაში მონაწილეობას იღებს 18 ქვეყნის 253 სპორტსმენი.

შეჯიბრების დაწყების წინ მონაწილეებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა თურქეთის ეროვნული განათლების მინისტრმა ახმედ ოზელმა.

რამდენიმე დღის ბრძოლა თავისუფალ ჭიდაობაში დამთავრდა თურქეთის მოჭიდავეთა გამარჯვებით. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

თბილისი. 28 მაისი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი „დინამოსა“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება.

პირველი წუთებიდანვე ტემპიანი ბრძოლა გაჩაღდა, მეკარეები თავიდანვე ჩაებნენ თამაშში.

მე-7 წუთზე სტუმართა კარი საფრთხეში აღმოჩნდა. დინამოელთა ერთ-ერთი იერიშის დროს უხეშობისათვის არბიელი ფეხბურთელები დაჯარიმდნენ. ოღოლობერიძის მიწოდება და კალოევის დარტყმა გოლით დამთავრდა.

23-ე წუთი თბილისელთა მორიგი წარმატებით აღინიშნა. კუთხური დარტყმით ბ. ხასაია ბურთს ვ. ელოშვილს აწვდის. ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ი. სმირნოვმა, მაგრამ იქვე ახლოს აღმოჩნდა ზ. კალოევი და ანგარიში გაადიდა.

მეორე ტაიმში სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ბატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ მორიგი გამარჯვებით 2:0, რომელმაც გათამაშების ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერა და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ბურთების შეფარდება.

მოსკოვი. 27 მაისი. „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის მფლობელი ცდსა-ს ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა კიევის „დინამოს“. გიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 2:1.

ლენინგრადი. 28 მაისი. ბატჩი ლენინგრადში ადგილობრივი „ზენიტისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 3:1.

კიშინიოვი. 28 მაისი. პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი კიშინიოვის „ბურევესტნიკი“ თავის მოედანზე შეხვდა ლენინგრადის „შრომითი რეზერვებს“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით 2:1.

„ბ“ კლასი

გორკი. 27 მაისი. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა გორკში დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო“ ანგარიშით 6:0.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

27 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური.

ტურნირის ლიდერმა გაფრინდაშვილმა ლამაზი კომბინაციით 29-ე სვლაზე მიუგო ანიშენკოს. მატვეევამ დაამარცხა გრუდნინსკაია, ბაჯაპურიძემ — მიხაილოვა, კარტულმა—ვაისბერგი. დანარჩენი პარტიები გადადიდა.

გუშინ გაიმართა მე-12 ტური. გაფრინდაშვილმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან დამარცხა ნეკრასოვა. ტიხომიროვამ მოუგო როროტარეს, მიხაილოვამ — გრუდნინსკაიას, კარტულმა — ანიშენკოს. ტოგონიძე-ნეველდმსკაიას და მატვეევა-სილვესტრის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიდა.

12 ტურის შემდეგ წინ არის გაფრინდაშვილი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს. გურფინკელს 7,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ნეკროლოგი

ივანე ივანესძე პატიაშვილი

მიმდინარე წლის 24 მაისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ილია ივანესძე პატიაშვილი.

ამხ. ი. პატიაშვილი დაიბადა 1899 წელს ქ. თბილისში. 1931 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, რის შემდეგ მუშაობდა საგარეჯოს რაიმეწგანის უფროსის აგრონომად, ლაგოდეხის მტს-ის მთავარ აგრონომად, ამავე მტს-ის დირექტორად, ლაგოდეხის რაიმეწგანის გამგედ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის, შემდეგ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. უკანასკნელ ხანებში ამხ. ი. პატიაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს უფროსად.

ამხ. ი. პატიაშვილი დაჯილდოებული იყო „სოციალისტური ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ილია ივანესძე პატიაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სიმამაცემ გაძლაარჩინა ჭაბურღილი

„საქნავთის“ ნორიოს ნავთბურღვის ერთ-ერთ ჭაბურღილზე გაჩნდა ძლიერი ხანძარი, რომელიც თანდათან სახიფათო ხდებოდა. პეტრე ჯავახიშვილმა წამოიხურა ბრეზენტის წამოსასხამი, გაიკეთა ხელთათმანები, თავი შეიხვია სველი ტილოთი, ტანსაცმელზეც წყალი გადაისხა და გაბმულ ვარებულ ცეცხლში შეიჭრა. მან რიგრიგად გადაკეტა ჭაბურღილის ჯერ ერთი, შემდეგ მეორე საკეტი. ხანძარი თანდათანობით შენელდა და ბოლოს სრულიად ჩაქრა. საფრთხე აცილებულ იქნა, მაგრამ პეტრეს ველარ შეძლო ცეცხლიდან გამოსვლა, იგი გამოიყვანა ბურღვის მთავარმა ხელოსანმა.

ასე გადაარჩინა ჭაბურღილი დაწვას კომუნისტმა პეტრე ჯავახიშვილმა.

ეკ. ოფფრაშვილი.
(გაზეთი „სტალინის დროშა“).

საჯარო ლექცია

30 მაისს საღამოს 8 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საატჭო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის დოცენტ რ. მელაძის საჯარო ლექციას თემაზე „საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარება მეექვსე ხუთწლედში“.

მაცნობება

„კომუნისტის“ 27 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) მოგებათა მე-7 ტირაჟის ცხრილში ტექნიკური მიზეზით გაურკვეველია ერის დაბეჭდილი სერიის ნომერი მეორე სვეტში, ზემოდან 21-ე სტრიქონში. 132237 სერიის შემდეგ უნდა იკითხებოდეს: 132382.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ᲓᲦᲔ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო, **გრიბოედოვის სახელობის** — შემთხვევითი შეხვედრები. **ფილარმონიის** საზაფხულო თეატრი — ძველი ოდევლების საღამო (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის — იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი, **ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — პალატა № 9, **ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი** — ირენა სახლში, **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — იუდიტ ბენდიჩის დანაშაული, **ისანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), გორკის სახელობის კულტურის სახლი** — სამსახური, **კოლხიდა (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი** — უნივერმაღის ვიტრინის იქით, **დიდუბე (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ისინი იყვნენ პირველნი, **კოლხიდა (საზაფხულო)** — მაქსიმე პერეპელიცა, **26 კომისრის სახელობის (საზაფხულო)** — ჩრდილი და სინათლე, **კოლმეურნე** — ბრძოლა ველზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე ორგანულ ქიმიაში 1 განაკვეთზე.

განცხადებას ინსტიტუტის სახელზე დართული უნდა ჰქონდეს ორ-ორ ცალად კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: კამოს ქ., № 34/36, ტელეფონი № 3-29-20.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება № 1231

1956 წლის 25 აპრილი

ვაკის რაიონში მეწყერის მოვლენათა განვითარების თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური და აკრძალვითი ღონისძიებების შესახებ

იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული მეწყერის მოვლენების განვითარება ორჯონიკიძის რაიონში — ვაკეში მდებარე ვერის მარჯვენა ნაპირზე სასოფლო-სამეურნეო ხსტიტუტის ტერიტორიიდან სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტამდე უნივერსიტეტის ქუჩის ფარგლებში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. იმ ზონაში, სადაც მეწყერის მოვლენებია, აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა, მიშენება, დაშენება და ნაგებობათა გადაკეთება.

2. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან შეუთანხმებლად აიკრძალოს მწვანე ნარგავების დარგვა, ბოსტნებისა გაშენება და სხვა ღონისძიებები, აგრეთვე მწვანე ნარგავების, ბაღების, ბოსტნების მორწყვა, რაც აჩქარებს მეწყერის მოვლენებს.

3. დაეკალოს მეწყერის მოვლენებიან ზონაში მდებარე ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, სახლმმართველებს და კერძო სახლმფლობელებს დაწესონ მუდმივი კონტროლი სახლების წყალსადენის, კანალიზაციის ქსელისა და ჩამონადენი წყლებისადმი.

4. ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

5. ამ გადაწყვეტილების 1, 2 და 3 პუნქტების დარღვევისათვის დამნაშავეებს დაეკისრებათ ადმინისტრაციული წესით ჯარიმა 100 მანეთამდე, ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე.

6. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მაღრაძე

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი შ. ბაძრაძე

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველო

ა. წ. 1 ივნისიდან დამატებით უშვებს სანატორიუმის საგზურებს:

კურორტ ფუნეთში, კოჯორასა და მანგლისში 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო **მანგლისში** მოზარდებისათვის და 15 წლის ზევით ასაკის მოზრდილთათვის.

საგზურების შეძენა შეუძლიათ ორგანიზაციებს და ინდივიდუალურ მოქალაქეებს.

მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფონი № 3-35-04, 3-16-30.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს **„გლავლესსტროიტორგის“** საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობებში — ქალაქებში: **თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გუდაუთში, ფოთში, სამტრედიაში, მახარაძესა და ცხაკაიაში** იყიდება ლამაზი, მტკიცე, **მოხერხებული და ადვილად ასაწყობი ლენინგრადის ლითონის გარაჟები** ყველა სახის მსუბუქი ავტომანქანებისათვის. ფასები ხელმისაწვდომია.

„გლავლესსტროიტორგის“ საქართველოს კანტორა.

მოქალაქე **დორა კაროს ასულმა ტარაიანმა**, მცხოვრებმა წულუკიძის ქ. № 4, აღძრა საქმე კ. მესხის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **სერგი პილოსის-ძე სტეპანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მარო, შვილები თამარ, ზიზი, ელიზარ, გურონტი, რძალი ქეთო, სიძეები ვ. ქევხიშვილი, ნ. ყურაშიძე ოჯახებით და ნათესავები იუწყებიან

შაქრო ილიას-ძე ცაცაბაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-V, 3 ს. სოფ. შრომაში (ბურჯაანის რ.).

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მუშაკები იუწყებიან

მარგალიტა ვლადიმერის ასულ ქარდაძის

გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები ელენე, ვახტანგ, ძმა ლევან, რძლები ანა, თინათინ დიასამიძეები ოჯახებით იუწყებიან

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე დიასამიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-V, 8 ს. გამოსვენება 31-V, 6 ს. წყალსაზიდის ქ